გამტარი

წვიმა

ცვივა ციდან ჰაერის პაწაწინა, სველი კაფსულები. დაასკდება ხეს, კრამიტს, ქვას, და ამოიშლება წერტილისხელა სუფთა ჰაერი. „როგორ ხარ?“ - ფანჯრის რაფაზე მოცოცავს წვიმის ვიბრაცია.

არ ვიცი, როგორ ვარ. ვინ ვარ - მაგასაც ნისლი აქვს გადაკრული. ხშირად ვიმეორებ, რომ არ დამავიწყდეს.

ლილიანა ვარ. ლილიანა, მაგრამ ლილას მეძახიან და მწყინს.

უფრო სწორად, მანამდე მწყინდა, სანამ ჩემი ისედაც დაპატარავებული სახელი ნაცვალსახელებად გადაგვარდებოდა:

_ „ამას“ არ შია?

_ „ამ“ საცოდავს მოაფარე რამე, სცივა.

_ „იმას“ სძინავს თუ ესმის ჩვენი ლაპარაკი? ან რო ღვიძავს, მაშინ ესმის?

ნეტა ისევ ლილა დამიძახონ. გამიხარდება.

ხან ისიც მერიდება, სინამდვილეში გრძელი სახელი რომ მქვია. როცა დედა საბუთებს ავსებს, სანამ დაწერს „ლ ი ლ ი ა ნ ა“ - იღლება. დედა ადვილად იღლება, დედა სულ დაღლილია.

_ გაწვიმდა, ვერ ხედავ? გამოაგორე აქეთ, ან ფანჯარა მიხურე, არ გაცივდეს - დედა ეუბნება მამას.

ხან ასეა, არც ლილა ვარ, არც „ის“, „ამან“ ან „მაგას“. ხან საერთოდ არაა საჭირო, რაღაც სიტყვით მიგულისხმონ. თითქოს ჩემზე სიტყვის დახარჯვა ზედმეტი ხარჯია. როგორც გამოუსადეგარ ნივთში ფულის გადახდა.

_ არ გაცივდება, - მამა ამბობს და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მხვევს ზურგიდან ხელებს.

მოდის წვიმა, ჩამოაქვს ციდან ჰაერი პაწაწინა, სველი კაფსულებით. დაასკდება ხეს, კრამიტს, ქვას და ამოიშლება წერტილისხელა სუფთა ჰაერი.

_ ნახე, როგორ უხარია წვიმის ყურება!

_ ეჰ, რაზე ატყობ? - დედა ისევ დაღლილია.

მე მართლა მიხარია წვიმის ყურება და არ მიკვირს, რომ მამამ ეს იცის. მე და მამას საიდუმლო არხი გვაქვს, მხარზე თითიც რომ შემახოს, ეს უხილავი არხი აქტიურდება და ჩემიდან ინფორმაციას მამას გადასცემს.

წვიმა დედასავით ამბობს „ეჰ“. ეჰ-ეჰ. ეჰ-ეჰ. - ყოველი კაფსულის გასკდომისას. გული სწყდება, რომ ვერ დაინახეს, ვერ დააფასეს, ვერ გამოიყენეს მისი შესაძლებლობები.

უცებ უწონო ვხდები, ვითენთები. როცა გარეთ წვიმს, მზეა ან ქარია და ამინდი ლაპარაკს იწყებს, თუ მამაც ჩემთანაა, ასე მემართება. თითქოს ამინდს და მამას ერთმანეთს ვაკავშირებ, შეიძლება მაგიტომაც გავჩნდი, რომ მამამ სამყაროსთან მეგობრობა შეძლოს. მთელ სოფელს მამაჩემის იმედი აქვს. მამამ მკვდარი სოფელი გააცოცხლა.

პირველად რომ მივხვდი - გამტარი ვარ, მაშინ გვალვა იყო ისეთი, გადახმა სოფელში ყველაფერი. ხრიოკში ხეები აღარ ისხამდნენ, ხალხი ვეღარც ჭამდა, ვეღარც ყიდდა მოსავალს, რომ რამე ეყიდა. ღარიბი იყო ჩვენი სოფელი. ზუსტად ჩვენსავით.

მერე იმ დღეს ცოტა წამოწვიმა როგორღაც და რამდენიმე კაფსულა რომ დაეცა ხმელ ბელტებს, გადასკდომისას, გამოფიტულმა მიწამ „აუაااა!“ დაიძახა ტკივილით და მე ახალი რაღაც ვისწავლე მაშინ, რომ ხან დიდი სიხარულის უცებ მოსვლამ რაღაც შიშისა და ტკივილის ნაზავი იცის პირველ წამად. ეგ რომ გავიფიქრე, მამამ თავზე ხელი გადამისვა, ფანჯარასთან ვიჯექი მაშინაც. დასცხო წვიმამ, მალევე მოვითენთე და მამამ თქვა:

_ წყლის ჭაბურღილი! აი , რა გვჭირდება!

მაშინ მივხვდი, რომ გამტარი ვარ სამყაროსა და მამას შორის. წვიმას ვჭირდები მამასთან შუამავლად. მე ვარ ის, ვინც თან ადამიანია, თან - ბუნების ნაწილი. ვინც არც მთლად ბუნებაა და ვერც სრულყოფილად ადამიანი.

მერე მამამ და სოფლის კაცებმა წყლის ჭაბურღილი გააკეთეს, როგორც მამას მოყოლიდან მივხვდი, დიდი, ნახევარი სამყაროსხელა. იქ წყალს აგროვებენ და როცა ცა დიდხანს მშრალია, სარწყავად იყენებენ. ხეებსაც უხარიათ, რომ ცოცხლობენ და ნაყოფს ისხამენ, წვიმასაც უხარია, რომ მისი ფასი და გამოყენება ისწავლეს, ფუჭად აღარ მოდის და სოფელსაც უხარია ალბათ, რომ ღარიბი აღარ ჰქვია და სხვა სოფლებისა და ადამიანების შესაცოდი აღარაფერი სჭირს.

_ ბუნება ბრძენია, - თქვა მამამ, - თუ მოუსმენ, უფასოდ მოგცემს ყველაფერს.

_ ყველაფერს რომ გვაძლევდეს ზემო ჩხრიმსში კი არა, ევროპაში ვიცხოვრებდით. თქვა დედამ. მე „ეჰ“ დამაკლდა ფრაზის დასაწყისში. მამას - არ ვიცი.

_ შენ რა, ევროპა მარტო გეოგრაფია გგონია?!

_ ეჰ... - ხელი ჩაიქნია დედამ.

მზე

შემოდის ფანჯრიდან და თამამად მალაგებს თავისი გრძელ-გრძელ და ბევრ-ბევრ მკლავებს მხრებზე. ისეთი თბილია, ისეთი!.. თითქმის მამასავით. წვიმა ხომ „როგორ ხარს“ მეკითხება ხოლმე და ამის ვიბრაცია კიდე სულ ამას მიმეორებს: „დამშვიდი. გიხაროდეს. დამშვიდი. გიხაროდეს.“ მეც, არ ვიცი რა, მაგრამ ყოველთვის მიხარია. ალბათ ეს შუქი, რომელიც როგორც კი დამანათებს, გამჭვირვალე ვხვდები და შიგნითაც შემდის, იქიდანაც მათბობს და მინათებს სიბნელეს. შიგნით დატბორილ მლაშე წყალსაც მიშრობს. სიმშვიდე უშიშობა არ გამომდის. არც არასდროს გამომივა.

_ შშმ-ებზე იმდენი ფულია გამოყოფილი, გოგო! - მეზობლის ქალი ეუბნება დედას. - მიაკითხე!

_ ეჰ... - დედა პასუხობს. - როცა ვიღებდი, ეს არ მახარჯინებდა მაინც.

_ რანაირი უჟმური კაცი ხარ, კაცო! - მეზობელი ეუბნება მამას.

_ როგორ უნდა შევირგოთ ამის შემოტანილი ლუკმაო?! - დედამ მამას გამოაჯავრა. დაღლილი კი არა, გაბრაზებულია.

ფანჯარასთან ვარ, მამა მოდის და შუბლზე ჩამოშლილ თმას მისწორებს. თან ფანჯარას ბოლომდე აღებს.

შემოდის მზე თამამად და მალაგებს თავისი გრძელ-გრძელ და ბევრ-ბევრ მკლავებს მხრებზე. ისეთი თბილია, ისეთი!.. თითქმის მამასავით. წვიმა ხომ „როგორ ხარს“ მეკითხება ეგრევე და ამის ვიბრაცია კიდე სულ მიმეორებს: „დამშვიდი. გიხაროდეს. ნუ გეშინია. დამშვიდი. გიხაროდეს. ნუ გეშინია.“ მეც, არ ვიცი რა, მაგრამ ყოველთვის მიხარია. ალბათ ეს შუქი, რომელიც როგორც კი დამანათებს, გამჭვირვალე ვხდები და შიგნითაც შემდის, იქიდანაც მათბობს და მინათებს სიბნელეს. შიგნით დატბორილ მლაშე წყალსაც მიშრობს. სიმშვიდე და უშიშობა არ გამომდის. არც არასდროს გამომივა.

_ სანთელი ხომ არ გაქვს, ერთი გამატანე, - მეზობელი ეუბნება დედას. - ორი ღამეა, შებინდებულზე ვწვები, შუქი რო არ არის. ვეღარც სანთლები ვიყიდე, მავიწყდება.

_ ჰო, დაწყვიტა ქარმა დენის ხაზები. - დედა ეუბნება. - გუშინ ვიყიდე მე, გაგატან ერთს. ბნელაში ყოფნა იქ არ გვეყოფა, სადაც ყველანი წავალთ ასი წლის მერე?

_ ნახე, როგორ უხარია! - მამა ეუბნება დედას, გაბრწყინებული სახით მიყურებს.

_ უხარია არა ის... - სევდიანად ამბობს დედა.

_ ეჰ... - ამბობს მეზობელი. არც სევდიანად, არც სიხარულით. ისე.

მე მართლა მიხარია და არ მიკვირს, რომ მამამ იცის. მამა შუბლზე მკოცნის, ჩვენი არხი აქტიურდება და უწონო ვხდები.

_ ამ საუკუნეში უშუქოდ როგორ უნდა ვიყოთ, რამე გზა უნდა გამოვნახოთ - თავის თავს ეუბნება მამა.

_ შენა ხარ მთელი სოფლის მშველელი, ერთი ჭკვიანი კაცი შენა გვყევხარ სოფელში, მარა, დენი მოიყვანო, ღმერთი კი არა ხარ. ფული უნდა ამხელს ხაზის შეკეთებას და საიდან ფული?! აჰა, სანთელი ვერ მიყიდია! - მეზობელი ამბობს.

_ ღმერთმა ყველაფერი მოგვცა, ბუნებამ ყველაფერი მოგვცა. დაფიქრებაა საჭირო. - მამა ეუბნება.

ველოდები, ქალებიდან რომელიმემ თქვას „ეჰ“, მაგრამ მეზობელმა მუჭში ჩაიცინა და დედაც იძულებული გახდა, ამოოხვრას რომ აპირებდა - შეეკავებინა.

ქარი

ქრის. გააქვს და შემოაქვს. გააქვს და შემოაქვს ყველაფერი თავის ჭკუაზე. ხან ვფიქრობ, ძალიან რომ მოინდომოს, იქნებ მეც გამიტაცოს ჩემიდან და სადმე სხვის სხეულში შემაგდოს. ნეტა. სადაც არ უნდა ვიყო მაგ დროს, იქიდანვე დავიძახებდი ხმამაღლა:

_ მამაა! მიყვარხარ! მე ვარ, ლილიანა!

მერე ვიფიქრებდი, დედას არ ეწყინოს. დავიძახებდი:

_ დედაა! მე ვარ, ლილიანა, აღარ იდარდო!

თან იმასაც ვფიქრობ, ვისი სხეულიცაა, ის ხომ ცოდო იქნებოდა, მერე, ჩემსაში.

_ თოვლის პაპა რომ ვიყო, ელექტომანქანებს ჩამოვარიგებდი. - მამა დღეს ცოტათი მთვრალია. - მთელ სოფელში ყველას კართან დავაყენებდი და დავიძახებდი: მასპინძელოოო! გამაიყვანე შენი შხამის გამონაბოლქვიანი ჯართი და აჰა, თოვლის პაპამ ნახე რა გაჩუქოს! გაუფრთხილდი გარემოს! შენმა შვილმა და შვილიშვილმა უნდა ისუნთქოს ეგ ჰაერ...

_ ნეტა მუცელი რატომ არ გაგისკდება, მაგდენს რომ ჩაისხამ ხოლმე ქვევრივით! - დედა ლობიოს ატკაცუნებს მაგიდასთან.

_ გაჩერდი გოგო, რასიწყევლები, ერთი ჭკვიანი კაცი ეგა გვყავს სოფელში. - მეზობელი ეუბნება. ორივენი ატკაცუნებენ ლობიოს, არჩევენ.

_ ესაა ჭკვიანი? ვერ გაიგე? თოვლის პაპა ვარო!

_ ჭკვიანი რო არ იყოს, აბა ნახე, გარეთ ქარია, დაგლიჯა დენის ბოძები და ჩვენ შუქში ვსხედვართ. არც დენის ფული გადამიხდია, არც არაფერი. შენ წყევლე და მე მადლობას ვეუბნები და სულ ვეტყვით მთელი სოფელი!

_ მადლობა ვის? - მამას აშკარად ესიამოვნა, - მზის პა-ნე-ლებს! - თვითონვე უპასუხა თავის შეკითხვას. - ღმერთი ყველაფერს გვაძლევს, უნდა დავინახოთ. უნდა მოვუსმინოთ!

ქრის. გააქვს და შემოაქვს. გააქვს და შემოაქვს ყველაფერი თავის ჭკუაზე. ხან ვფიქრობ, ძალიან რომ მოინდომოს, იქნებ მეც გამიტაცოს ჩემიდან და სადმე სხვის სხეულში შემაგდოს. მამა მოდის, ჩემს გაყინულ ხელს ხელებში იქცევს.

_ გაყინულა ჩვენი გოგო. - ამბობს.

_ მიხურე ეგ ფანჯარა, არ გაცივდეს! - დედა ყვირის, კი არ ამბობს. - ახლა არ მითხრა, ნახე, ქარი უხარიაო, თორემ არ ვიცი რას გიზამ!

მამა თვალს მიკრავს. ორივემ ვიცით რომ მიხარია. თითქოს ვმსუბუქდები, ვითენთები, მაგრამ თან - ვერც. ჩვენი არხი აშკარად დედაჩემისკენაა, ნასვამზე არ გადასცემს მამას ქარის დანაბარებს. ან გადასცემს და მამას ნასვამობა კარებს ვერ უღებს, შიგნით ვერ უშვებს.

მე მიხარია, რომ მამა ცოტას დაისვენებს. ახლა სხვა კაცებმა იფიქრონ სოფლის უკეთეს ცხოვრებაზე. მამამ მთელი სოფლის მოსავლისთვის წყლის ჭაბურღილი ჩადგა სარწყავად და სოფელი ააყვავა. მამამ მზის პანელი დაამონტაჟა და ჩაბნელებული სახლები გაანათა. მამამ ფერდობზე ხეების ჩარგო, რომ ხვალ-ზეგ მეწყერის შიშში არ ვიყოთ. ჰაერი ისე დაიწმინდა, ვერ იცნობ. მოკლედ, ეყოფა მუშაობა, დღეს მამა ისვენებს. დღეს არხის კარი ჩაკეტილია. ამ ფიქრში ვარ და უცებ:

_ ქარის წისქვილ!.. აი რა სჭირდ... სოფელს!.. უსაფრ... უფას... ბუნებრ!.. ღმერთი ყვეელაფ!.. ნუ გეშინია, ლილ!

„ნუ გეშინია, ლილ! ნუ გეშინია, ლილ!“ მამას ხმა ბურანში ჩამესმის და გულს მიჩუყებს. მოთენთილი ვარ, უწონო. ქარი რის ქარია, მამას ნასვამობას შეეკავებინა. მაგას სულ თავის ჭკუაზე მიაქვს და მოაქვს ყველაფერი. ჩემი ნება რომ იყოს, მინდა დედას „ეჰ“- ები გავატანო. მეზობლის ჩაცინება გავატანო, მამას ნათქვამზე რომ აიფარა პირზე მუჭი. მინდა ყველა ნაცვალსახელი და ის არაფერი გავატანო, რაშიც მე ვიგულისხმები ხოლმე. ვატაან, წაიღოს.

ოღონდ, ჩემი თავის ჩემგან გაყვანა აღარ მინდა. მამას უჭირავს ჩემი ხელი და ვიცი, ასეთ საიმედო ხელებს სხვაგან ვერსად ვიპოვი. იქ ვარ და ისეთი, როგორც ღმერთმა, სამყარომ ჩამიფიქრა. სხვა, სრულყოფილი სხეულით ვერასდროს შევძლებდი ბუნების ამხელა საიდუმლოში მონაწილეობას.

_ დილიდან - ქარის წისქვილ!.. - გეგმას აწყობს მამა.

მეც ვგეგმავ: ხვალ, როგორც კი მზე ამოვა, დავასწრებ და ვეტყვი:

_ დავმშვიდდი, მზეო, მიხარია, აღარ მეშინია!

ავტორი: ნათია როსტიაშვილი